# ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 1 27/01/2020

**,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ნოემბრის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ნოემბრის №33 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 2020 წელს დასაფინანსებელი, მოწონებული, საპროექტო წინადადებების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის სახით.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#62.).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი

| N | პროექტის დასახელება | პროექტის სავარაუდო ღირებულება | მ. შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ლარში | მ. შ თანადაფინანსება | პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების, გიორგიწმინდის და მუგარეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | 374 795 | 356 055,00 | 18 740 | აპრილი-აგვისტო | |
| 2 | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | 499 161 | 474 202,00 | 24 959 | აპრილი-აგვისტო | |
| 3 | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების წყრუთი-წირას დამაკავშირებელი გზის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | 513 010 | 487 359,00 | 25 651 | აპრილი-აგვისტო | |
| 4 | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების აწყური-ტყემლანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | 483 797 | 459 607,00 | 24 190 | აპრილი-აგვისტო | |
| 5 | ვალეში, ე.წ. მეორე შახტის დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | 310 977 | 295 428,00 | 15 549 | აპრილი-აგვისტო | |
| 6 | ქ. ახალციხეში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა. | 1 033 939 | 982 242,00 | 51 697 | აპრილი-აგვისტო | |
| 7 | ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | 428 660 | 407 227,00 | 21 433 | აპრილი-აგვისტო | |
| 8 | ქ. ახალციხე, ქუჩების (მიხეილ თამარაშვილის, შალვა ახალციხელის, პაატა ნათენაძის, რუსთაველის, კოსტავას, დიდიმამიშვილის, 9 აპრილის, ჯაყელის, თამარ მეფის, ახალქალაქის ჩიხის, საფარის ქუჩის მიმდებარედ ჩიხების, ნიკოლაძის, მიქუტიშვილის, ტაბიძის, ყაზბეგის, ასპინძის, გორის, ქუთაისის და ერევანის) საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები | 1 869 160 | 1 775 702,00 | 93 458 | აპრილი-აგვისტო | |
| 9 | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების: კლდის, წნისის, ურავლის, აწყურის, მუგარეთის, თისელის, ჭვინთის, ანის,ელიაწმინდის, წყრუთის, წირის, სხვილისის და ორალის სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 1 065 246 | 1 011 983,00 | 53 263 | აპრილი-ოქტომბერი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოწყობა | 700 000 | 665 000,00 | 35 000 | აპრილი-ოქტომბერი | |
| 11 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 1 200 000 | 1 140 000,00 | 60 000 | აპრილი-ოქტომბერი | |
| 12 | ქ. ახალციხეში, სამხატვრო სკოლის და საგამოფენო დარბაზების რეაბილიტაცია | 400 000 | 380 000,00 | 20 000 | აპრილი-ოქტომბერი | |
| 13 | ქ. ახალციხეში, რუსთაველის #124-ში მდებარე შენობების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 600 000 | 570 000,00 | 30 000 | აპრილი-ოქტომბერი | |
| 14 | ქ. ახალციხეში , მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია | 900 000 | 855 000,00 | 45 000 | აპრილი-ოქტომბერი | |
| 15 | ქ. ახალციხეში, კულტურის სახლის  რეაბილიტაცია | 150 000 | 142 500,00 | 7 500 | აპრილი-ოქტომბერი | |
| 16 | ჯამი | 10 528 745 | 10 002 305 | 526 440 | | |

საკრებულოს თავმჯდომარე- გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო • LOCAL COUNCIL OF AKHALTSIKHE MUNICIPALITY • GEORGIA • საქართველო
224101317